ფეხბურთი 70

## „ა“ კლასის გუნდები იყოფიან სამ ჯგუფად

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა დაამტკიცა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციისა და კომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს წინადადებანი 1970 წლის ჩემპიონატის ჩატარების შესახებ.

„ა“ კლასის გუნდები იყოფიან სამ ჯგუფად: უმაღლესი, პირველი და მეორე.

უმაღლეს ჯგუფში ითამაშებს 17 გუნდი: „სპარტაკი“ (მოსკოვი), „დინამო“ (კიევი), „დინამო“ (თბილისი), „დინამო“ (მოსკოვი), „ტორპედო“ (მოსკოვი), ცსკა, „ნეფტჩი“ (ბაქო), „ჩერნომორეცი“ (ოდესა), „ზენიტი“ (ლენინგრადი), „შახტიორი“ (დონეცკი), „ზარია“ (ვოროშილოვგრადი), ასკ (დონის როსტოვი), „დინამო“ (მინსკი), „ტორპედო“ (ქუთაისი), „არარატი“ (ერევანი), „პახტაკორი“ (ტაშკენტი), „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე).

გუნდები, რომლებიც 1970 წელს უმაღლეს ჯგუფში დაიკავებენ XV-XVI-XVII ადგილებს, მომავალი წლისთვის გადაყვანილი იქნებიან „ა“ კლასის I ჯგუფში. შემდგომ წლებში უმაღლესი ჯგუფიდან პირველში გადავლენ გუნდები, რომლებიც ჩემპიონატში ბოლო ორ ადგილს დაიკავებენ.

„ა“ კლასის I ჯგუფში წლეულს ითამაშებენ: „კაირატი“ (ალმა-ათა), „ლოკომოტივი“ (მოსკოვი), „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი), „ურალმაში“ (სვერდლოვსკი), „დინამო“ (ლენინგრადი), ასკ (ხაბაროვსკი), „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი), „ჟალგირისი“ (ვილნიუსი), „კუბანი“ (კრასნოდარი), „რუბინი“ (ყაზანი), ასკ (კიევი), „შახტიორი“ (ყარაგანდა), „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო), „ვოლგარი“ (ასტრახანი), „მეტალისტი“ (ხარკოვი), „ლოკომოტივი“ (თბილისი), „კარპატი“ (ლვოვი), „ენერგეტიკი“ (დუშანბე), „სტროიტელი“ (აშხაბადი), „მოლდოვა“ (კიშინიოვი), „ალგა“ (ფრუნზე), „დაუგავა“ (რიგა).

ამ ჯგუფის 2 უძლიერესი გუნდი 1971 წელს გადავა „ა“ კლასის უმაღლეს ჯგუფში.

„ა“ კლასის მეორე ჯგუფის გუნდების შემადგენლობა მოგვიანებით გამოცხადდება.

უმაღლეს ჯგუფში გათამაშება დაიწყება 15 მარტს, ხოლო I ჯგუფში — 5 აპრილს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 5 (3999) 8 1970 წ. იანვარი. ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




მოჭადრაკეებმა საათები გააჩერეს

## [illegible]

„ა“ კლასის ფრენბურთელ ვაჟებს ხანმოკლე არდადეგები გაუთავდათ: გუშინწინ საბჭოთა კავშირის უძლიერესმა გუნდებმა რიგასა და კიევში ქვეყნის ჩემპიონატის მეორე ტურის სტარტი აიღეს.

შეჯიბრებაში ლიდერობენ ალმა-ათის „ბურევესტნიკის“, ტალინის „კალევისა“ და დონის როსტოვის არმიელთა გუნდები. ყაზახი სტუდენტების — საბჭოთა ქვეყნის ჩემპიონების მეწინავეობა კანონზომიერი ამბავია, მაგრამ „კალევმა“ და როსტოვის არმიელთა კოლექტივმა მეტოქეებს სიურპრიზი შესთავაზეს— საუცხოოდ აიღეს გათამაშების სტარტი.

რიგაში ალმა-ათის „ბურევესტნიკისა“ და ადგილობრივი „რადიოტექნიკის“ მატჩი ორსაათნახევარს გაგრძელდა და უაღრესად მწვავე ბრძოლით აღინიშნა. ანგარიშით 3:2 (10:15, 16:14, 14:16, 15:13, 15:8) გაიმარჯვეს ჩემპიონებმა.

„კალევმა“ აჯობა ვოროშილოვგრადის „ზვეზდას“ — 3:1.

# მემორიალის დასკვნითი აკორდი

გუშინწინ რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრის მცირე დარბაზში საზეიმოდ დაიხურა ვ. გოგლიძის მემორიალი.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა ა. ჭირაქაძემ.

დამსწრე საზოგადოებას მემორიალის სპორტულ შედეგებზე ელაპარაკა შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი გ. გაჩეჩილაძე.

მონაწილეებს მიესალმა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივანი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ტორაძე, ქართული ჭადრაკის მესვეურებს, მემორიალის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს მადლობის სიტყვებით მიმართა ვ. გოგლიძის ვაჟმა ვლადიმერმა — მათემატიკოსმა და სპორტის ოსტატმა ჩოგბურთში.

სიტყვები წარმოთქვეს მ. ტალმა, ბ. გურგენიძემ და ვ. ჩოკილტიამ.

ცნობილმა ოქრომჭედელმა კ. ქუთათელაძემ ვ. გოგლიძის ოჯახს გადასცა მემორიალისადმი მიძღვნილი ჭედური ნამუშევარი.

შემდეგ ყველა მონაწილეს გადაეცა დედაქალაქის საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ჟურნალ-გაზეთების რედაქციების ჯილდოები. პირველ ხუთ ტურში საუკეთესო შედეგისთვის „ვეჩერნი თბილისის“ პრიზი მიიღო ე. გუფელდმა, ბოლო ხუთ ტურში საუცხოო მაჩვენებლისთვის „თბილისის“ ჯილდო გადაეცა ლ. შამკოვიჩს, პრიზიორებთან მოპოვებული საუკეთესო შედეგისთვის „სოფლის ცხოვრების“ პრიზი — რ. ხოლმოვს, ულამაზესი პარტიისთვის (სპირიდონოვთან) „ზარია ვოსტოკას“ პრიზი — მ. ტალს, დიდოსტატებთან შეხვედრებში საუკეთესო შედეგისთვის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ჯილდო — ბ. გურგენიძეს...

დასასრულს გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ვ. გოგლიძის ქალიშვილმა — გამოჩენილმა პიანისტმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა მარინე მდივანმა.



• • •

სურათზე: თბილისის მაუდკამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი მ. ბაბუნაშვილი საერთაშორისო ოსტატთა შორის საუკეთესო შედეგისთვის პრიზს გადასცემს რუმინელ ვ. ჩოკილტიას.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# ჯანმრთელობას თავიდანვე გავუფრთხილდეთ

ვილნიუსი, 7 იანვარი. დღეს აქ იხსნება მოსწავლეთა ფიზიკური სრულყოფისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, სადაც 40-მდე მოხსენებას წაიკითხავენ. კონფერენცია მოაწყვეს ლიტვის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა და რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ. მასში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა ქვეყნის გამოჩენილი ფიზიოლოგები, მედიკები, პედაგოგები, მწვრთნელები, აგრეთვე, სტუმრები სოციალისტური სახელმწიფოებიდან.

ბავშვთა ფიზიკური აღზრდის საკითხებს ბოლო წლებში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ეს პრობლემები სერიოზულ სამეცნიერო გამოკვლევების საგნად იქცა. რუსეთის ფედერაციაში, უკრაინაში, ამიერკავკასიის რესპუბლიკებში მიღებულია საინტერესო მონაცემები, რომლებმაც სკოლებში ფიზკულტურის სწავლების ეფექტურობის თვალსაჩინოდ ამაღლების საშუალება მოგვცა.

დღეს სპორტი ფუნდამენტალურ მეცნიერებებს ეყრდნობა. ესტონელი ფიზიოლოგები, მაგალითად, მოსწავლეებზე იკვლევდნენ ბავშვთა ფიზიკურ აღზრდაში გენეტიკური ფაქტორების როლს.

კონფერენცია ორ დღეს გასტანს.

# ახალი ამბები

● ალმა-ათა, 6 იანვარი. მედეოს მაღალმთიან საციგურაოზე გრძელდება სსრ კავშირის უძლიერეს მოციგურავეთა შეჯიბრება. 500-მეტრიანი დისტანცია ტ. სიდოროვამ 43,9 წამში დაფარა, რაც 0,7 წამით სჯობს ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს. მსოფლიო რეკორდს გადააჭარბა სსრ კავშირის ჩემპიონმა და რეკორდსმენმა ვ. კრასნოვამაც — 44,1. ვაჟთა სპრინტში იმარჯვა ვ. მურატოვმა — 39,6. ეს სსრ კავშირში საუკეთესო, მსოფლიოში კი მეორე შედეგია წლეულს. 9 იანვარს აქ საბჭოთა ქვეყნის ჩემპიონატი დაიწყება.

● ალმა-ათა, 6 იანვარი. აქ დამთავრდა „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატის ნახევარფინალი, რომელშიც 11 მოჭადრაკე ქალი მონაწილეობდა. I ადგილი დაიკავა ლ. პერეგუდოვამ (ალმა-ათა). II ადგილზეა თბილისელი ლ. ნაჭყებია. ორივე მოჭადრაკემ ფინალში (კიევი, სექტემბერი) თამაშის უფლება მოიპოვა.

## [illegible]

◆ ჩოხატაური

სოფელ კოხნარის საშუალო სკოლაში (დირექტორი მ. ჩიგოგიძე, ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. მეფარიშვილი) ბოლო ხანს დიდი ყურადღება ექცევა ფიზიკურ კულტურას. ამ ორი წლის წინ სკოლას არავითარი სპორტული ბაზა არ გააჩნდა, ახლა კი ფრენბურთისა და კალათბურთის კეთილმოწყობილი მოედნები აქვს. ახლახან შეიძინეს ჩოგბურთის მაგიდა, დაიწყო ახალი მოედნების მოწყობაც. ნაყოფიერად მუშაობენ ფრენბურთის, კალათბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკის, შაშისა და სხვა სექციები.

დ. გურგენიძე.

# საგზურებს ბაკურიანი გასცემს

„მფრინავ მოთხილამურეთა“ ტრადიციულ ოთხი ტრამპლინის ტურნეს წლეულს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ იმ ქვეყნების ფედერაციები, რომლებიც თავიანთი სპორტსმენების გაგზავნას აპირებენ მსოფლიო ჩემპიონატში საასპარეზოდ. ეს გასაგებიცაა. სწორედ გფრ-ის ქალაქების — ობერსტდორფისა და გარმიშ-პარტენკირხენის, ავსტრიის ქალაქების — ინსბრუკისა და ბიშოფსჰოფენის ტრამპლინებზე ამოწმებენ ხოლმე მომავალი ბატალიებისთვის თავიანთ მზადყოფნას მსოფლიოს საუკეთესო „მფრინავი მოთხილამურეები“.

როგორც წესი, ამ ტურნეს ყველა ქვეყანაში წინ უსწრებს შესარჩევი შეჯიბრებები. წლეულსაც ასე იყო: ნორვეგიაში, შვეციაში, ფინეთში, გდრ-ში, გფრ-ში, სსრ კავშირში, ავსტრიაში, ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთში ეროვნული მასშტაბისა და საერთაშორისო ტურნირები გაიმართა. ამ შეჯიბრებების შედეგების მიხედვით სპეციალისტები ვარაუდობდნენ, რომ ოთხი ტრამპლინის წლევანდელი ტურნეს ფავორიტები ჩეხოსლოვაკიელები, ნორვეგიელები, გდრ-ისა და სსრ კავშირის სპორტსმენები იქნებოდნენ. ამის საფუძველი ის გახლდათ, რომ ნორვეგიელ სპორტსმენთა შეჯიბრებებში ბრწყინვალედ ასპარეზობდა მსოფლიოს ჩემპიონი ბ. ვირკოლა, ბოლო შესარჩევ ტურნირში კი იგი 99,5 და 101,5 მეტრზე გადახტა. ჩეხოსლოვაკიელებიდან უპირატესობას აძლევდნენ ი. რაშკას, გდრ-ის „მფრინავ მოთხილამურეებში“ — ამ ქვეყნის ნაკრების კაპიტანს ჰ. კვეკს. სსრ კავშირის სპორტსმენებიდან საპრიზო ადგილების პრეტენდენტებად ოლიმპიურ ჩემპიონს ვ. ბელოუსოვსა და გ. ნაპალკოვს მიიჩნევდნენ.

სამ ტრამპლინზე გამართული შეჯიბრებების შედეგებზე „ლელო“ უკვე წერდა. ახლა დავუმატებთ, რომ ინსბრუკში ხუთ საუკეთესოს შორის ორი საბჭოთა ქვეყნიდან იყო. იქ ა. ჟეგლანოვმა (92,5 და 92,5 მ—237,8 ქულა) III ადგილი მოიპოვა. ნაპალკოვმა (92 და 90 მ — 232,1 ქულა) მეოთხე შედეგი აჩვენა. სამი ტრამპლინის ჯამში ნაპალკოვი საერთო III ადგილზე გავიდა. საუკეთესო იყო ვირკოლა, რომელიც ჯერ 98, ხოლო შემდეგ 92,5 მეტრზე გადახტა და 248,5 ქულა მოიპოვა.

6 იანვარს ბიშოფსჰოფენში გამართული შეჯიბრებით დამთავრდა 18 ქვეყნის „მფრინავ მოთხილამურეთა“ ასპარეზობა. ოთხივე ტრამპლინზე ყველაზე მეტი ქულა აღმოაჩნდა კვეკს და I ადგილიც მას დარჩა. II ადგილზეა ვირკოლა, III — ნაპალკოვი.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ამ ტრიოს გარდა ჩეხოსლოვაკიის

## ემზადებიან მსოფლიო ჩემპიონატისთვის

ტატრებში წარმატების იმედი უნდა ჰქონდეთ რაშკასა და მის თანაგუნდელ ი. მატოუშს, ბელოუსოვს, ლ. გრინს (ნორვეგია). თუმცა, გამორიცხული არც ისაა, რომ სხვამ უფრო გამოიჩინოს თავი. რაც შეეხებათ აშშ-ისა და საფრანგეთის სპორტსმენებს, მათგან სენსაცია ჯერჯერობით მოსალოდნელი არ არის.

სსრ კავშირის სპორტსმენები შინ დაბრუნების შემდეგ ბაკურიანს ეწვევიან და იქ 17-18 იანვარს სსრ კავშირის თასს გაითამაშებენ. ფაქტიურად ამ შეჯიბრებამ საბოლოოდ უნდა შეარჩიოს ქვეყნის ნაკრები, რომელიც მსოფლიო პირველობაში გამოვა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაბიჯი... უკან

ცნობილია, რომ სოფლის სკოლები სპორტული ტალანტების ყამირია. მძლეოსნობის საკავშირო ფედერაციამ მოკავშირე რესპუბლიკების ფედერაციებს ამიტომაც მისცა რეკომენდაცია, რომ გადაიღონ და დანერგონ საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის გამოცდილება სოფლის სკოლების მძლეოსანთა მასობრივი შეჯიბრებების ჩატარების საქმეში. ამგვარი ტურნირი პირველად ჩვენს რესპუბლიკაში მოეწყო 1960 წელს, შემდეგ კი იგი ზოგიერთ სხვა რესპუბლიკაში ტრადიციად იქცა.

ჟურნალ „ლიოგკაია ატლეტიკას" 1969 წლის ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა რსფსრ-ს სოფლის სკოლების მძლეოსანთა ფინალური შეჯიბრების ანგარიში. ტურნირში ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების პირველობებში გამარჯვებული 20 გუნდი მონაწილეობდა. წერილში მოყვანილია მთელი რიგი მაღალი შედეგები, რომლებიც ასპარეზობის მონაწილეებმა მოიპოვეს. ამრიგად, სპორტული საქართველოს წამოწყებას კიდევ ერთი მიმდევარი გაუჩნდა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რსფსრ-ს ამ ტურნირში როგორც პირად, ისე გუნდურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი რსფსრ-ს მძლეოსნობის ფედერაციის სპეციალური პრიზებითა და დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

ამას წინათ ბათუმის „დინამოს" სტადიონზე საქართველოს სოფლის სკოლების მძლეოსანთა მორიგი პირველობა გაიმართა. გამარჯვებისთვის იბრძოდნენ როგორც რაიონების ნაკრები გუნდები, ისე ის სასკოლო კოლექტივები, რომელთაც რაიონულ ტურნირებში ისახელეს თავი. სარბიელზე გამოვიდა რაიონების 19 და სკოლების 13 გუნდი.

პირველობამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რა უშრეტი წყაროა სოფლის სკოლების მძლეოსანთა შეჯიბრებები. მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა გამოვტყდეთ, რომ რესპუბლიკის ბევრ რაიონში ტურნირები ცუდად მოეწყო — ყველა სკოლა ვერ მიიზიდეს. განსაკუთრებით ცენტრიდან დაშორებული სკოლები „დაავიწყდათ", ამ სკოლებში კი ხშირად ნიჭიერი ათლეტები „იმალებიან", რომელთაც წარმატებით შეუძლიათ საქართველოს ღირსების დაცვა. ზოგიერთ რაიონში შეჯიბრება საერთოდ არ ჩატარებულა.

ამის მთავარი მიზეზია ადგილობრივი ხელმძღვანელი მუშაკების უპასუხისმგებლო დამოკიდებულება საქმისადმი. განსაკუთრებით უნდა ვუსაყვედუროთ ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულ კომიტეტებს, „კოლმეურნის" რაისაბჭოებს, განათლების განყოფილებებს, რომელთაც მარტო თავიანთი რაიონების პირველობების გამართვა კი არა, მონაწილეთა მატერიალური უზრუნველყოფა — ჩამოსულ სპორტსმენთა კვება და დაბინავებაც ევალებოდათ.

„კოლმეურნის" მახარაძის რაისაბჭოს თავმჯდომარემ კ. გოგოტაძემ თავი იმით იმართლა, თითქოს შეჯიბრების დებულებაში მითითებული არ იყო, რომ შორი სოფლებიდან ჩამოსულთა კვებისა და ბინის ხარჯები მათ უნდა გაეღოთ. ხაშურის „კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარემ პ. მახარაშვილმა გვისაყვედურა: შარშანდელ შეჯიბრებაში შესრულებული სათანრიგო ნორმები მე გეგმის შესრულებაში არ ჩამითვალეს, ამიტომ წლეულს კაპიკსაც არ დავხარჯავო.

ვინ როგორ იმუშავა წლის განმავლობაში, როგორია შედეგები, ეს ფინალური ტურნირის სტარტებმა დაადასტურა.

ბათუმის ამინდმა მოასპარეზეთ ხელი არ შეუწყო — შეჯიბრების პირველი ნახევარი ბავშვებმა კოკისპირულ წვიმაში, წყლით დაფარულ ბილიკებსა და სექტორებზე გამართეს. მიუხედავად ამისა, ტექნიკური შედეგები დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა.

განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ ქობულეთის რაიონის სოფელ მუხაესტატეს სკოლის მოსწავლეები. ხელყუმბარის ტყორცნაში პირველობა სწორედ მათ მოიპოვეს. ყველაზე უმცროსი ასაკის (12 წლის) გოგონებში თავი ისახელა ციური ვერულიძემ — 38,90 მ, ბიჭებში — რევაზ მენაღარიშვილმა — 44,90 მ. 14 წლის მოსწავლეებში პირველობა დაისაკუთრა თეიმურაზ ქათამაძემ — 56 მ. იგი უძლიერესი აღმოჩნდა 800 მეტრზე რბენაშიც — 2.34,2. 15 წლის რევაზ რამანაძემ მოიგო 400 მეტრზე რბენა — 1.01,4, 13 წლის ნარგიზა მეავანაძემ — სიმაღლეზე ხტომა — 125 სმ.

მუხაესტატეს სკოლის წარმომადგენლებმა საბოლოოდ გუნდური I ადგილი დაიკავეს. მათ დაისაკუთრეს საქართველოს განათლების სამინისტროს პრიზი და დიპლომი. სკოლის დირექტორი შ. შავიშვილი და ფიზაღზრდის მასწავლებელი ო. მენაღარიშვილი რესპუბლიკის განათლების სამინისტროს სიგელებით დაჯილდოვდნენ.

მუხაესტატეს, აგრეთვე, ზოგიერთი სხვა სოფლის სკოლის მოსწავლეთა წარმატების მეშვეობით ქობულეთელებმა რაიონების გუნდების ტურნირშიც ისახელეს თავი — პირველობა და თასი დაისაკუთრეს. ამრიგად, განათლების სამინისტროს ორივე ჯილდო ქობულეთის რაიონის წარმომადგენლებს დარჩათ.

რამ განაპირობა ეს წარმატება? მონდომებულმა მუშაობამ, რაიონული შეჯიბრებების მასობრივად, ორგანიზებულად ჩატარებამ. მარტო ის რად ღირს, რომ ქობულეთის რაიონის სოფლის სკოლების ტურნირში, რომელიც სამ დღეს გაგრძელდა, 250 ბავშვი მონაწილეობდა. თანაც, სარბიელზე თითქმის ყველა სკოლის წარმომადგენლები გამოვიდნენ. „კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარის ო. ლეჟავას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ნორჩ სპორტსმენებს მან ყველა პირობა შეუქმნა, არც კვება და სასტუმრო დაუმადლებია. პროგრამაც ისე იყო შედგენილი, რომ მოსწავლეები მაინცდამაინც არ დატვირთულან.

სასკოლო გუნდების შეჯიბრებაში II ადგილზე გავიდა ქარელის რაიონის აგარის სკოლის კოლექტივი (ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. ლურსმანაშვილი). ამ სკოლაში, ისევე, როგორც მუხაესტატეში, სტადიონი არა აქვთ, მაგრამ მოსწავლეებმა თვითონ მოაწყვეს სარბენი ბილიკები და სახტომი სექტორები (მუხაესტატეში ბავშვებმა სატყორცნი სექტორებიც მოაწყვეს). ლურსმანაშვილის მონდომების წყალობით აგარის სკოლაში რეგულარულად ტარდება შეჯიბრებები რბენასა და ხტომაში ნიჭიერი ბავშვების გამოსავლენად.

ბათუმში კარგად გამოვიდა ამ სკოლის მოსწავლე, 12 წლის ლიზა ლურსმანაშვილი, რომელმაც 60 მეტრზე რბენაც მოიგო (9,0) და სიგრძეზე ხტომაც (417 სმ). 14 წლის ალიხან ვალიევმა ყველას აჯობა სიგრძეზე ხტომაში — 544 სმ. სულ ლურსმანაშვილის აღსაზრდელებმა ტურნირში ექვსი პირველი, ორი მეორე და ერთი მესამე ადგილი დაიკავეს. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ქარელის რაიონის სოფლის სკოლების მძლეოსანთა შეჯიბრებაში თითქმის ყველა საპრიზო ადგილი სწორედ აგარელებს ხვდათ. ეს ადასტურებს ამ რაიონის სხვა მწვრთნელების, განსაკუთრებით კი ქარელის მე-2 სკოლის მასწავლებლის კ. დავითაშვილის სუსტ მუშაობასაც. დავითაშვილს სექტემბრამდე მძლეოსნობის 3 ჯგუფი ჰყავდა, მაგრამ არც ერთი კარგი სპორტსმენი არ მოუმზადებია.

რაიონების ნაკრები გუნდების ტურნირში II ადგილი ლენტეხელებს დარჩათ. კარგი მონაცემები აქვს ლენტეხის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეს, 15 წლის ნაირა ხაბულიანს, რომელმაც 400 მეტრზე რბენა მოიგო — 1.10,2 და 600 მეტრზე II ადგილი დაიკავა — 1.54,8. როგორც შარშან, წლეულსაც კარგად გამოვიდნენ ლენტეხის საშუალო სკოლის სპორტსმენები (ფიზაღზრდის მასწავლებელი ა. გუგავა). განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 12 წლის გია ტვილდიანმა, რომელიც 490 სმ სიგრძეზე გადახტა. ცისანა ტვილდიანმა ორი II ადგილი მოიპოვა (ბადროს ტყორცნაში — 25,66 მ და ხელყუმბარის ტყორცნაში — 33,50). 12 წლის ოლეგ ლიპარტელიანმა პირველობა მოიგო ბირთვის კვრაში — 9,01 მ.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რაიონში ნაკლები ყურადღება ეთმობა ნიჭიერი მძლეოსნების ყველა სკოლიდან შერჩევას. ამას ის ფაქტი ადასტურებს, რომ რესპუბლიკურ ტურნირში მეორე წელია რაიონის გუნდის სახელით ძირითადად მხოლოდ ერთი სკოლა გამოდის.

შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა მახარაძის რაიონის სკოლების ზოგიერთმა მოსწავლემ. მაგალითად, 15 წლის სერგო ვასაძე (მაკვანეთი) 616 სმ სიგრძეზე გადახტა. ლევან ბოლქვაძემ (შრომა) სიმაღლეზე ხტომაში ყველაზე კარგი შედეგი (155 სმ) აჩვენა წვიმაში. ამ ათლეტურად განვითარებულ ჭაბუკს შესანიშნავი ბუნებრივი მონაცემები აქვს და მაღალი შედეგების მოპოვებაც შეუძლია. მახარაძელებმა III ადგილი დაიკავეს. მათ უფრო დიდი წარმატების მოპოვებაც შეეძლოთ, მაგრამ რესპუბლიკის დამსახურებულმა მწვრთნელმა გ. ერქომაიშვილმა და სპორტსკოლის დირექტორმა კ. ხმელიძემ ამჯერად რატომღაც ვერ შეძლეს რაიონულ შეჯიბრებაში ყველა სოფლის სკოლის სპორტსმენთა ჩაბმა.

რესპუბლიკურმა ტურნირმა სხვა რაიონების ნიჭიერი მძლეოსნებიც გამოავლინა. მათ შორის უნდა დავასახელოთ 14 წლის ვალენტინა კაპანაძე (ბორჯომის რაიონი), რომელმაც 300 მეტრზე რბენა კარგი შედეგით (47,8) მოიგო, 14 წლის ვანელი მიხეილ ხუნდიაშვილი და სხვ.

ნიჭიერ მძლეოსნებს ცუდად ეძებენ ახმეტის რაიონში, თუმცა ადრე ამ რაიონის სკოლებში აღზრდილმა ბევრმა კარგმა სპორტსმენმა რესპუბლიკის ნაკრებში დაიმკვიდრა ადგილი, ა. ბაგაური კი ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრების წევრი იყო და საერთაშორისო შეჯიბრებებშიც მონაწილეობდა.

პოზიციები დათმო დუშეთის რაიონმაც. საქართველოში ბევრი იცნობს მხტომელ ც. ჩოლიაშვილს, შუბის ტყორცნაში რესპუბლიკის რეკორდსმენს კ. გორძამაშვილს, ბადროს ტყორცნაში სსრ კავშირის რეკორდსმენს გ. გუდაშვილს, რომლებმაც პირველად სწორედ ამ რაიონის სოფლის სკოლების შეჯიბრებაში გამოიჩინეს თავი.

ახლა კი, ბათუმში, დუშეთის წარმომადგენლებმა IX ადგილი დაიკავეს.

დუშეთის რაიონში ტრადიციულად კარგი მტყორცნელები იზრდებოდნენ. ეს ტრადიცია არც ახლა დარღვეულა. 15 წლის იოსებ ბედუკაძემ (ანანური) მოიგო ხელყუმბარის ტყორცნა — 49,90 მ. გოგონათა შეჯიბრებაში ძილა გოგოჭურმა (ბარისახო) 37,80 მ აჩვენა. მისი გამარჯვებით დამთავრდა ბირთვის კვრაც — 9,45 მ. მაგრამ ეს არ კმარა.

ონელებსაც კარგი სპორტული ტრადიციები აქვთ. წლეულს ამ რაიონიდან კარგად გამოვიდნენ 12 წლის თამაზ გოგრიჭიანი (II ადგილები ხელყუმბარის ტყორცნაში — 43,30 მ, და ბირთვის კვრაში—8,65 მ) და 14 წლის ვახტანგ ორდენიძე. ამ უკანასკნელმა თავისი ასაკის მოსწავლეთა შორის მოიგო ბირთვის კვრა — 10,39 მ და II ადგილი დაიკავა ხელყუმბარის ტყორცნაში — 48,70 მ. 15 წლის ბიჭებიდან ყველას აჯობა ბორის მეტრეველმა ბირთვის კვრაში — 10,70 მ. მაგრამ ონის რაიონშიც, რომელიც VI ადგილს დასჯერდა, ჯერ კიდევ სრულად არაა გამოყენებული ახალგაზრდების შესაძლებლობანი.

სოფლის მძლეოსნებთან მუშაობას ბოლო წლებში რატომღაც თავი მიანებეს გარდაბნის რაიონში (ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ნუცუბიძე, სპორტსკოლის დირექტორი გ. თოხაძე). ამჯერად შეჯიბრებაში ამ რაიონის სახელით გამოდიოდნენ ნოდარ აბუაშვილი, ლილი არსოშვილი, მანანა ერბოწონიაშვილი, მაგრამ ისინი გლდანის სპორტსკოლა-ინტერნატის მოსწავლეები არიან და თბილისის განათლების განყოფილების სპორტსკოლაში ვარჯიშობენ. იმის გამო, რომ უმცროსი ასაკის მოსწავლეთა გამოყვანა ვერ შეძლეს, რაიონების შეჯიბრებაში გარდაბნელები X ადგილს დასჯერდნენ.

სასკოლო კოლექტივების შეჯიბრებაში სამგორის სკოლამ III ადგილი დაიკავა, ისიც მძლეოსნობაში ადრე ჩაბმული ბავშვების კარგი შედეგების წყალობით. ახალი ძალების გამოვლენებისთვის აქ თავი არ შეუწუხებიათ.

ჩვეულებრივ, მძლეოსნობაში ცუდი მუშაობის გამართლებას სტადიონების უქონლობით ხსნიან. მაგრამ რით იმართლებენ თავს გურჯაანისა და ბორჯომის რაიონების ფიზკულტურის კომიტეტები (თავმჯდომარეები ა. ჭუჭულაშვილი და ლ. ინასარიძე) და სპორტსკოლები (დირექტორები ვ. ქაჩლიშვილი და გ. ფილიევი)? მუშაობის დონე დაბალია გორისა და ვანის რაიონებშიც. ამიტომაც იყო, რომ ამ რაიონების წარმომადგენლები წლევანდელ ტურნირში ბოლო ადგილებზე გავიდნენ.

სოფლის სკოლების მძლეოსანთაგან საუკეთესოთა შერჩევას წლეულს გულგრილად მოეკიდნენ, აგრეთვე, ზუგდიდისა და წყალტუბოს რაიონებში. ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეებმა კ. ხორავამ და ა. ყუფარაძემ, „კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარეებმა შ. ჩანგელიამ და ვ. კობახიძემ, სპორტსკოლების დირექტორებმა რ. ბულიამ და ა. დვალმა რესპუბლიკურ ტურნირში სასპარეზოდ რაიონების ნაკრები გუნდების მაგიერ ცალკეული სკოლების სპორტსმენები გამოგზავნეს.

გეგეჭკორის რაიონში 50 საშუალო და რვაწლიანი სკოლაა, რაიონის ფინალურ ტურნირში კი მხოლოდ 4 სკოლა მონაწილეობდა. ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარის გ. სურმავას, „კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარის გ. ჭილაიას და სპორტსკოლის დირექტორის კ. ჯანჯღავას გულგრილობის გამო ბოლო წლებში ყურადღება აღარ ექცევა ამ რაიონის სოფლის სკოლებიდან კარგი მძლეოსნების შერჩევას. სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადამდე კი არც ისე დიდი დრო დარჩა.

საწყენია, რომ რესპუბლიკური პირადი შეჯიბრების მეორე და მესამე პრიზიორები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მოწმობებითაც კი არ დააჯილდოვეს.

ერთი სიტყვით, წლევანდელი ტურნირის შედეგების მიხედვით სამწუხარო დასკვნა უნდა გამოვიტანოთ. წლიდან წლამდე უარესდება ადგილებზე შესარჩევი შეჯიბრებების დონე, თანდათან მცირდება რესპუბლიკური ტურნირის მონაწილე გუნდების რიცხვი. მიზეზი ის გახლავთ, რომ საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულებისთვის ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი დაუსჯელი რჩება.

დასასრულს მინდა აღვნიშნო შეჯიბრების მთავარი მსაჯის მ. ტუღუშის მონდომებული მუშაობა, რამაც ხელი შეუწყო ასპარეზობის მაღალ დონეზე ჩატარებას.

**ზ. ტახტაროვი,**

საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის სოფლის ახალგაზრდებთან მუშაობის კომისიის თავმჯდომარე, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი.

კარგი სპორტული ტრადიციები დამკვიდრდა ამიერკავკასიის რკინიგზის სოხუმის № 2 საშუალო სკოლა-ინტერნატში (დირექტორი — საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი ვ. ფირცხალაიშვილი, ფიზაღზრდის მასწავლებელი ა. ფანცულაია).



სკოლა-ინტერნატს აქვს შესანიშნავი სპორტბაზა: კეთილმოწყობილი დარბაზი, ფეხბურთის მინდორი, კალათბურთის, ფრენბურთისა და ჩოგბურთის მოედნები, მძლეოსნობის სექტორები. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა ცურვას: ამ სასწავლებლის ნორჩი მოცურავეები ბოლო სამი წელია პირველობას არ თმობენ საქალაქო შეჯიბრებებში. შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს ცურვის მოყვარულებმა ინტერნატის გახსნის ხუთი წლისთავზე, რომელიც ამას წინათ ზეიმით აღინიშნა. ესაა საცურაო აუზი გათბობით.

ცურვასთან ერთად აქ დიდი პოპულარობით სარგებლობს ტანვარჯიში, მძლეოსნობა, მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი...

* * *

სურათზე: ფიზაღზრდის მასწავლებელი ა. ფანცულაია ორძელზე ავარჯიშებს მერვეკლასელ ს. ქვაცაბაიას.

ტექსტი და ფოტო ვ. გოგაძისა.

ფიზკულტურისა და სპორტის

# მეტი უნდა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის კოლეგიის ამასწინანდელ სხდომაზე მოისმინეს „დინამოს" ცენტრალური საბჭოს VIII სპარტაკიადაში საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობის საკითხი. აღინიშნა, რომ საქართველოს „დინამო" ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ამ შეჯიბრებაში 147 კაცით ასპარეზობდა II ჯგუფში, სადაც გამარჯვებისთვის იბრძოდნენ ბელორუსიის, ყაზახეთის, აზერბაიჯანისა და ლენინგრადის გუნდებიც.

კოლექტივმა, რომლის შემადგენლობაში 5 სპორტის დამსახურებული ოსტატი, 9 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 83 სპორტის ოსტატი, 28 სპორტის ოსტატობის კანდიდატი და 22 პირველთანრიგოსანი იყო, 16 პირველი, 14 მეორე და 16 მესამე ადგილი მოიხვეჭა. ცენტრალური საბჭოს ჩემპიონები გახდნენ მოჭიდავეები ე. მეგრელიშვილი, თ. ქურციკიძე, მ. გოგავა, ველოსიპედისტები (ტრეკი) ო. ფხაკაძე, რ. კუპრეიშვილი, ი. მელიკოვი, მოცურავე თ. ლეკვეიშვილი, ტყვიის მსროლელები შ. ქველიაშვილი, გ. თავდიდიშვილი და მ. პაპავა, მძლეოსნები გ. ხანეევი, გ. გუდაშვილი, ტანმოვარჯიშე მ. ბოგუსი.

მაგრამ, როგორც კოლეგიაზე აღინიშნა, მიღწევებზე მეტი იყო ხარვეზი, მარცხი ცალკეულ სახეობებში, რის გამოც საქართველოს „დინამოს" ნაკრებმა კომპლექსურ ჩათვლაში თავის ჯგუფში წინა სპარტაკიადაში მოპოვებული II ადგილიდან III ადგილზე გადაინაცვლა — წინ გაუშვა ბელორუსიის გუნდი.

ეს წარუმატებლობა იმან გამოიწვია, რომ რესპუბლიკის „დინამოს" ორგანიზაციებში სათანადოდ არ ზრუნავენ ძლიერი სპორტსმენების აღზრდისთვის. ნაკრებში 115 თბილისელი იყო, 12 აფხაზეთის, 10-10 ქუთაისისა და აჭარის წარმომადგენელი. მთელ რიგ სახეობებში გუნდები სუსტად მომზადებული სპორტსმენებით დააკომპლექტეს და სათანადოდაც დაისაჯნენ. ადრინდელი მაჩვენებლები გააუარესეს მოკრივეებმა, სამბისტებმა, თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა, ჩოგბურთელებმა, ძალოსნებმა, მოფარიკავეებმა, ხოლო საგზატკეცილო ველორბოლაში, ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობაში, წყალში ხტომასა და მაგიდის ჩოგბურთში ჩვენებმა თითო ჩასათვლელი ქულაც ვერ მიიღეს.

ადგილებზე უხეირო მუშაობა იყო იმის მიზეზიც, რომ რესპუბლიკურმა საბჭომ ვერ შეძლო აკადემიურ ნიჩბოსნობაში, სასტენდო სროლაში, მშვილდოსნობაში თუნდაც თითო კარგად მომზადებული სპორტსმენი გამოეყვანა საკავშირო სპარტაკიადაში, არც კალათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთის პროგრესისთვის ჩვენს ქალაქში

9 თვეს გასტანა თბილისის პირველობამ ფეხბურთში, რომლის მონაწილენიც დაყოფილი იყვნენ სამ ჯგუფად. უძლიერეს, I ჯგუფში გაერთიანდა ფაბრიკა-ქარხნების, უმაღლესი სასწავლებლების, უწყებებისა და დაწესებულებათა 12 გუნდი. თუ მხედველობაში მივიღებთ განვლილი გათამაშების მარათონულ ვადებს, საერთო სიძნელეებს, უნდა ითქვას, რომ იგი ჩატარდა ორგანიზებულად, საკმაოდ მაღალ დონეზე. კალენდარი შედგენილი იყო ისე, რომ გუნდებს შესაძლებლობა ჰქონოდათ ნორმალურად ეწარმოებინათ სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა, ჰქონოდათ სტაბილური ინტერვალი მატჩებს შორის.

მთელი რიგი ფიზკულტურული კოლექტივები სრული სერიოზულობით და პასუხისმგებლობით მოეკიდნენ თავიანთი გუნდების მონაწილეობას ამ შეჯიბრებაში. ეს, პირველ ყოვლისა, ითქმის სპორტკლუბ „უშბაზე". აქ უყვართ ფეხბურთი, სათანადო ყურადღებას უთმობენ გუნდის მზადებას და თვით ფეხბურთელებიც ცდილობენ მონდომებით, ენერგიით მოეკიდონ ყოველდღიურ წვრთნას. შედეგმა, რა თქმა უნდა, არ დააყოვნა და „უშბამ" (მწვრთნელი რ. გალუსტიანი) პირველად მოიპოვა თბილისის ჩემპიონის წოდება.

II ადგილი წილად ხვდა ყრუ-მუნჯთა საზოგადოების გუნდს (მწვრთნელი რ. მამაჯანოვი), ხოლო III — მსუბუქი ტაქსების № 3 კონტორის ფეხბურთელებს (მწვრთნელი გ. ბალიაშვილი). ამ ორგანიზაციებშიც სათანადო სიმაღლეზე იდგა სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა.

მართალია, საპრიზო სამეულში ვერ მოხვდნენ უნივერსიტეტის, მაუდ-კამვოლის კომბინატის, პოლიტექნიკური ინსტიტუტის, № 1 სამგზავრო ატკ-ს გუნდები, მაგრამ ამ ორგანიზაციებშიც იგრძნობოდა საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულება.

II ჯგუფში აღნიშვნის ღირსნი არიან სატელეგრაფო აპარატურის ქარხნის, მწვრთნელთა სკოლის გუნდები, რომლებიც გაისად I ჯგუფში გამოვლენ, ხოლო III ჯგუფში — კიროვის ქარხნის, სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკის, ქალაქის სატელეფონო ქსელის სამმართველოს გუნდები, რომლებიც გადაყვანილი არიან II ჯგუფში.

კოლექტივებში საგრძნობლად გაუმჯობესდა აღმზრდელობითი მუშაობა, რის შედეგადაც იკლო უხეშობამ და დისციპლინის დარღვევის შემთხვევებმა. გამოვლინდა ახალგაზრდა, პერსპექტიულ მოთამაშეთა საკმაო რაოდენობა. მათ უმეტესობას საფეხბურთო ანბანი გავლილი აქვს სპეციალიზებულ საბავშვო სკოლებში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში ბევრ მათგანს ვიხილავთ რესპუბლიკის მოწინავე გუნდებში.

როცა ვლაპარაკობთ თბილისურ ფეხბურთზე, წლიდან წლამდე ვჩივით სათამაშო მინდვრების სიმცირეზე, მათს უვარგისობაზე. განვლილ სეზონში გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნისა და არმიის სპორტული კლუბის სტადიონების ადმინისტრაციებმა ყოველმხრივი ხელშეწყობა აღმოუჩინეს ფეხბურთელებსა და მსაჯებს თამაშების მაღალ დონეზე ჩასატარებლად. ფაქტიურად, ამ სტადიონებზე განვლო საქალაქო ჩემპიონატმა, ხოლო განსაკუთრებული გაჭირვების შემთხვევებში დახმარებას გვიწევდა „შრომითი რეზერვების" სტადიონის ადმინისტრაცია.

განსაკუთრებით მინდა ვილაპარაკო იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ხელს უშლიან ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ფეხბურთის შემდგომ განვითარებას, მასობრიობისა და ოსტატობის შემდგომ ზრდას.

თბილისის საფეხბურთო კალენდარი საკმაოდ გადატვირთულია. შეჯიბრებათა შესაფერის დონეზე ჩატარებას ესაჭიროება შესაბამისი რაოდენობის კეთილმოწყობილი, მაღალხარისხოვანი სათამაშო მინდვრები, გუნდებს კი ნორმალური სასწავლო-საწვრთნელი მუშაობისთვის დრო არ ჰყოფნით. კიდევ მეტიც: გვიჭირს კალენდარული მატჩების ჩატარებაც. აბა, გადავხედოთ ფიზკულტურული კოლექტივების ანგარიშებს, სადაც გრაფაში — „სპორტული ბაზები" ხშირად ვხვდებით სავარჯიშო თუ სათამაშო საფეხბურთო მინდვრებს, მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგება, ირკვევა, რომ მათი გამოყენება შეუძლებელია. საავიაციო ქარხნის, არმიის სპორტკლუბისა და „შრომითი რეზერვების" სტადიონები წვეთია ზღვაში იმასთან შედარებით, რაც ჩვენ გვჭირდება. უკვე 2 წელია გრძელდება მაუდ-კამვოლის სტადიონის სათამაშო მინდვრის კაპიტალური რემონტი. ეს დიდ დანაკლისად ემჩნევა საქალაქო ფეხბურთის განვითარებას. ვერ იქნა და ვერ მოწესრიგდა ლენინის სახელობის სტადიონის მინდვრის საქმე. აქ ერთდროულად მიმდინარეობს ფეხბურთელთა და მძლეოსანთა ვარჯიში. ისინი ფაქტიურად ხელს უშლიან ერთმანეთს ნაცვლად იმისა, რომ ეს საუკეთესო ბაზა მაქსიმალურად იქნას გამოყენებული. ოდესღაც საქალაქო ღონისძიებათა ჩატარებას დიდად უწყობდა ხელს შამპანური ღვინოების ქარხნის საფეხბურთო მინდორი. ეს ბაზა შემდგომში გადაეცა სპორტკლუბ „სინათლეს". მდგომარეობის გაუმჯობესების ნაცვლად კლუბის მმართველობამ პირველივე დღიდან ბოქლომი დაადო სტადიონს და ეს საუკეთესო ბაზა ახლა ჩვენ მთლიანად დაკარგულად მიგვაჩნია.

გაპარტახებულია სტუდქალაქის სტადიონი, მოუწყობელია მედქალაქის სტადიონი. ასევე ხელიდან გამოგვეცალა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონიც, სადაც რემონტი დაიწყეს, მაგრამ მის დამთავრებას ბოლო არ უჩანს. კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვს „ლოკომოტივის" სტადიონის სათადარიგო მინდორი. დაუმატეთ ამას ისიც, რომ მწყობრიდან გამოვიდა „დინამოს" სტადიონის საწვრთნელი მინდორი და თქვენთვის ნათელი გახდება, თუ რა გაჭირვებაში არიან გუნდები, რომლებსაც სურთ ნორმალურად, სრული ინტენსიობით აწარმოონ წვრთნა. ასეთივე დიდი სიძნელეები გვხვდება ჩვენც, როცა გვინდა დავგეგმოთ საქალაქო პირველობის კალენდარული მატჩები.

ძალზე უარყოფითად მოქმედებს ფეხბურთის განვითარებაზე მსაჯთა უქმარი კვალიფიკაცია. თბილისის მსაჯთა კოლეგია ერთ-ერთ მოწინავედ ითვლება ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ სწორედ ამ კოლეგიის წევრები სრულ უყურადღებობას იჩენენ საქალაქო მასშტაბის ღონისძიებათა მიმართ. ჩვენი საუკეთესო არბიტრები საკავშირო ღონისძიებებზე ხალისით მიემგზავრებიან, მაგრამ თბილისის პირველობის მატჩების მიმართ გულგრილობას იჩენენ. მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმმა ვერ შეძლო აქტიურ საქმიანობაში ჩაება ასეთი არბიტრები. განა მტკიცება უნდა იმას, რომ, ვთქვათ, მოზარდ ფეხბურთელთა კალენდარული მატჩი უფრო მაღალ სპორტულ დონეზე ჩაივლის, როცა მას მოემსახურება საკავშირო კატეგორიის არბიტრი?

სამწუხაროა, რომ ჯერ კიდევ გვიხდება ლაპარაკი სპორტულ ტანსაცმელზე. ნუთუ ძნელია გუნდს ჰქონდეს ერთნაირი, კარგად მორგებული, სუფთა ფორმა? სამედიცინო ინსტიტუტის, არმიის სპორტკლუბის, მწვრთნელთა სკოლის, სპორტკლუბ „გამარჯვების" და ზოგიერთი სხვა ორგანიზაციის გუნდებს მინდორზე ხშირად ნახავთ სხვადასხვა ფერის, აჭრელებული და უსუფთაო ფორმით.

იყო შემთხვევები, როცა შეჯიბრების მონაწილე გუნდები არ ცხადდებოდნენ კალენდარულ შეხვედრებზე. ამ მხრივ „თავი გამოიჩინეს" № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის, ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის, ფოსტამტის, სამხატვრო აკადემიის, გაზოაპარატურის ქარხნისა და სხვა დაწესებულებათა გუნდებმა.

ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლოვანებები უახლოეს ხანში უნდა აღმოიფხვრას.

**ი. ბოჟორაძე,**
თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ინსტრუქტორი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

* * *



**სურათზე:** თბილისის 1969 წლის ჩემპიონი — სპორტკლუბ „უშბას" გუნდი.

## თბილისის პირველობის საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| სპორტკლუბი „უშბა" | 22 | 16 | 4 | 2 | 36 |
| ყრუ-მუნჯთა საზ-ბა | 22 | 14 | 1 | 7 | 29 |
| № 8 მსუბუქი ტაქსების კ-რა | 22 | 10 | 6 | 6 | 26 |
| ასკ | 22 | 10 | 5 | 7 | 25 |
| მაუდ-კამვოლის კომბინატი | 22 | 7 | 8 | 7 | 22 |
| პოლიტექნიკური ინსტ. | 22 | 8 | 5 | 9 | 21 |
| უნივერსიტეტი | 22 | 5 | 11 | 6 | 21 |
| № 1 სამგზავრო ატკ | 22 | 6 | 7 | 9 | 19 |
| ელექტროძრავის ქარხანა | 22 | 7 | 4 | 11 | 18 |
| სამედიცინო ინსტიტუტი | 22 | 6 | 5 | 11 | 17 |
| № 1 ავტოშემკეთებელი ქარხ. | 22 | 5 | 4 | 13 | 14 |
| № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკა | 22 | 4 | 4 | 14 | 12 |

# თორმეტის მაგიერ—ოთხი

დიდი ინტერესით წავიკითხეთ სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელების დ. ცომაიასა და ნ. ჩხატარაშვილის წერილები, რომლებიც ამას წინათ გამოქვეყნდა „ლელოში". ლაპარაკია რეორგანიზაციაზე „ბ" კლასის ფეხბურთელთა გათამაშებაში, აგრეთვე, რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებებში.

უდავოა, საქართველოში გაიზარდა გუნდების რაოდენობა, მაგრამ საკითხავია, გვაქვს თუ არა რეალური შესაძლებლობა ვიყოლიოთ 12 გუნდი „ბ" კლასში? მე ასე ვფიქრობ: თუ შევამცირებთ ჩვენი გუნდების წარმომადგენლობას „ბ" კლასში და თორმეტის ნაცვლად ვიყოლიებთ ოთხს, ეს მკვეთრად გაგვიუმჯობესებდა მაღალკვალიფიციური კადრების შერჩევას უმაღლესი ლიგის კოლექტივებისთვის. შეიძლება ახლა ყველა გუნდს ჰყავს თითო-ოროლა კარგი მონაცემების მქონე, პერსპექტიული ფეხბურთელი, მაგრამ მათ გვერდით თამაშობენ გაცილებით უფრო დაბალი შეძლებისა და უნარის სპორტსმენები და ამიტომ ნიჭიერები ვერ ავლენენ თავიანთ ტალანტს, უთანაბრდებიან უპერსპექტივოებს, ითქვიფებიან საერთო მასაში და იკარგებიან.

„ბ" კლასიდან რესპუბლიკურ პირველობაში გადასული გუნდები თვალსაჩინოდ აამაღლებენ ამ უკანასკნელის მნიშვნელობას. შემცირდება სამგზავრო ხარჯები, გაიზრდება საერთო შემოსავალი იმის ხარჯზე, რომ მეზობელი ქალაქების შეხვედრებს მუდამ დიდი რაოდენობით ესწრება მაყურებელი. გულშემატკივარი ყოველთვის მეტ ინტერესს იჩენს ასეთი მატჩებისადმი და თვით ფეხბურთელიც მეტი მონდომებით თამაშობს. არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ჩვენი გუნდების ერთმანეთთან თამაშს შეუდარებლად მეტი მაყურებელი ესწრება, ვიდრე, როცა სათამაშოდ ჩამოდის აზერბაიჯანის ან სომხეთის რომელიმე გუნდი.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია „ბ" კლასში საქართველოდან დარჩეს 4 კოლექტივი, ხოლო რესპუბლიკის ჩემპიონატი ჩატარდეს გუნდების დასავლეთისა და აღმოსავლეთის ზონებად დაყოფით. ზონებში თამაშები ჩატარდება ჩვეულებრივად მიღებული პრინციპით, ორ წრედ, ზონებში შესაბამის ადგილებზე გასული გუნდები შემდგომში გაითამაშებენ საერთო ადგილებს. საქართველოს ჩემპიონი გადავა „ბ" კლასში, ხოლო იქ ბოლო ადგილზე გასული გუნდი გადაინაცვლებს დაბლა, რესპუბლიკურ გათამაშებაში. ყოველივე ეს გაზრდის საერთო ინტერესს, შეამცირებს სამიმოსვლო ხარჯებს და საშუალებას მოგვცემს ერთად, კონცენტრირებულად მოვუყაროთ თავი პერსპექტიულ ფეხბურთელებს.

ორიოდე სიტყვა ასაკობრივი ლიმიტის შესახებ. რაიონებში ძნელია ახალგაზრდა ფეხბურთელთა შენარჩუნება. ბევრი უმაღლეს სასწავლებელს ეტანება, ზოგი სამხედრო სამსახურში მიჰყავთ და ა. შ. ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ფეხბურთელმა გუნდში ადგილი დაიკავოს არა ასაკის, არამედ თავის შესაძლებლობათა მიხედვით. 26 წლის ასაკში მოთამაშის წასვლა გუნდიდან გაუმართლებელია.

**ჯ. სანოძე,**
წულუკიძის „ფეიქრის" მწვრთნელი.

# საქმეს არგებდა...

ყურადღებით გავეცანი დ. ცომაიას მიერ „ლელოში" გამოქვეყნებულ წერილს: „მთავარი მიზანი — რეზერვების აღზრდა".

ავტორი ბევრ დამაბრკოლებელ, ხელშემშლელ მიზეზს ასახელებს, რომლებიც აფერხებენ საქართველოში ფეხბურთის შემდგომ განვითარებას, მაგრამ ჩემი მხრივ მინდა დავუმატო, რომ საჭირო იყო წერილში აღნიშნულიყო სპორტსაზოგადოებებთან და უწყებებთან არსებული ე. წ. საფეხბურთო სექციების საქმიანობა. მთელ რიგ სპორტსაზოგადოებებში ფეხბურთის სექციები არსებობენ ფიქტიურად, მხოლოდ ქაღალდზე, მაშინ, როცა მათ დიდი და სასარგებლო საქმის გაკეთება შეუძლიათ.

სპორტსაზოგადოებებთან არსებული საფეხბურთო სექციების საქმიანობაში უნდა ჩავაბათ ენერგიული, მუყაითი, მცოდნე ადამიანები.

**გ. ჩხიკვაძე,**
ვეტერანი ფეხბურთელი.

რესპუბლიკურ კომიტეტში

# ეზრუნათ!

ბურთელ ქალთა გუნდი გაუგზავნიათ.

„დინამოს" რესპუბლიკური საბჭო სპარტაკიადას მოუმზადებელი იმიტომ შეხვდა, რომ ამ საზოგადოებაში, მის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში სათანადოდ არ ზრუნავენ „სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში საქართველოს სპორტული დელეგაციის მონაწილეობის შედეგებისა და რესპუბლიკაში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების დადგენილების ცხოვრებაში გატარებისთვის, სპორტის ყველა აუცილებელი სახეობის დანერგვა-განვითარებისთვის. ამიტომ ვერ მოუყარეს თავი 220 სპორტსმენს, რომელთა სარბიელზე გამოყვანის უფლებასაც ცენტრალური საბჭოს სპარტაკიადის დებულება იძლეოდა.

შეიმჩნევა ისიც, რომ მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა ჩამორჩა აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისის, აგრეთვე, სხვა ქალაქებისა და რაიონების ორგანიზაციებში. მათს გუნდებსა და სპორტსმენებს მეტისმეტად დაბალი შედეგები ჰქონდათ რესპუბლიკურ სპარტაკიადაში. საკავშირო სპარტაკიადისთვის მზადების დროს სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა ნაკრები გუნდების სასწავლო-საწვრთნელი გეგმის შესრულებას, კონტროლს, არ გწყობოდა სამატჩო, ამხანაგური შეხვედრები. „დინამოს" რესპუბლიკური საბჭო არ ამოწმებდა მწვრთნელების საქმიანობას. რესპუბლიკური სპარტაკიადის მონაწილე 48 მძლეოსნიდან სათანრიგო ნორმატივები ვერ შეასრულა ცხრამეტმა, ხოლო ძალოსნობაში მოასპარეზე 89 ათლეტიდან — თოთხმეტმა.

დაბალი იყო საკავშირო სპარტაკიადის მონაწილე ზოგიერთი სპორტსმენის ფიზიკური, ტექნიკურ-ტაქტიკური და მორალურ-ნებელობითი მომზადების დონე. სპორტსმენთა ნაწილი წვრთნას გულგრილად ეკიდებოდა, ამიტომ ცენტრალური საბჭოს სპარტაკიადაში წარუმატებლად გამოვიდნენ ტყვიის მსროლელები ლ. ალიხანოვა, ა. ჰინჰარაული, ტანმოვარჯიშე ი. ნინოშვილი, მოჭიდავეები ზ. გულიაშვილი, ი. გოგიჩაიშვილი, ო. ნიკოლაძე, მოცურავეები მ. ყულიჯანოვა, ვ. ხნიმშჩიკოვი, მძლეოსანი ა. კოსტინი და სხვ.

საქართველოს გუნდის შედეგებზე იმანაც იმოქმედა, რომ საკავშირო ტურნირში სხვადასხვა მიზეზით ვერ გამოვიდნენ ჩოგბურთელი ა. მეტრეველი, მოჭიდავეები შ. ლომიძე და ა. მარგველანი, ტანმოვარჯიშე რ. სიხარულიძე...

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის კოლეგიის სხდომამ ზემოხსენებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის „დინამოს" ორგანიზაციების უკეთ მომზადებისთვის მიიღო სათანადო დადგენილება.




## ითამაშებენ თუ არა მაროკოელები?

მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ჰორიზონტზე პირველი „ღრუბელი“ გამოჩნდა: მაროკოს ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ, თუ 10 იანვრის კენჭისყრა ერთ ქვეჯგუფში მოახვედრებს მაროკოსა და ისრაელს, მისი ქვეყანა უარს იტყვის ფინალურ თამაშებში მონაწილეობაზე.

ფიფა-ს პრეზიდენტმა ს. როუზმა ამის თაობაზე თქვა, რომ მას არავითარი ოფიციალური განცხადება არ მიუღია მაროკოს ფეხბურთის ფედერაციისგან და კენჭისყრაზე არავითარი სპეციალური ღონისძიება არ იქნება მიღებული საიმისოდ, რომ მაროკო და ისრაელი სხვადასხვა ქვეჯგუფში მოახვედრონ. „მაროკომ დროზე უნდა გაგვაფრთხილოს, — დაუმატა როუზმა, — რომ მის ნაცვლად ფინალში აფრიკის ჯგუფში მეორე ადგილზე გასული ნიგერია ჩავრიცხოთ. ეს ევროპის ან ლათინური ამერიკის ჩემპიონატი არ გახლავთ. ლაპარაკია მსოფლიო ჩემპიონატზე და სახელმწიფოთა დიდი უმრავლესობა კმაყოფილია შერჩევითი სისტემით“.

ფიფა-ს პრეზიდენტის აზრით, ერთადერთი სისტემა, რომელსაც შეუძლია შეცვალოს ახლანდელი, ესაა სამატჩო შეხვედრათა სისტემა გამოთიშვით, როცა ყველა ქვეყანას შეეძლება მონაწილეობა მიიღოს შეჯიბრებაში, მაგრამ ეს ძალზე დიდ სამგზავრო ხარჯებს გამოიწვევს.

როუზმა შეაფასა მომავალი ფინალის მონაწილეთა ძალები და თქვა, რომ მათი უმეტესობა ადრინდელზე უკეთ თამაშობს. ასეთ გუნდებს მან მიაკუთვნა სსრ კავშირი, ბულგარეთი, რუმინეთი და იტალია.

როუზის ამ გამოსვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ უცხოურ პრესაში გამოჩნდა ცნობა, რომ ფიფა არ გამორიცხავს შესაძლებლობას მაროკო და ისრაელი სხვადასხვა ქვეჯგუფში მოახვედროს. ეს გუნდები მეოთხედფინალში მაინც ვერ გავლენ და ამით თავიდან იქნება აცილებული მოსალოდნელი პოლიტიკური სკანდალი.

● ●

## ხარჯები, ხარჯები...

— მსოფლიოს IX ჩემპიონატი 35-40 მილიონი მექსიკური პესო (დაახლოებით 3 მილიონი დოლარი) დაჯდება, — განაცხადა ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის გენერალურმა მდივანმა რ. ალატორემ. მისი სიტყვებით, ასეთ შემთხვევებში ორგანიზატორები არ განიცდიან მატერიალურ ზარალს, თუმცა მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს არც ისეთი დიდი შემოსავალი მოაქვს, როგორც ლაპარაკობენ. ჩემპიონატის მომწყობ ქვეყანას შემოსავალს აძლევენ სანახაობითი ღონისძიებები და ტურისტები.

თვით ფიფა 5 პროცენტს [illegible] ჩემპიონატის დასაწყისში და შემდეგ დამატებით 10 პროცენტს [illegible] შემოსავლიდან. ამას გარდა, საჭიროა მექსიკაში მყოფი დელეგაციების 500 წარმომადგენლის, აგრეთვე, არბიტრებისა და ფიფა-ს ხელმძღვანელების შენახვა. თითოეული მათგანის შენახვა დღეში დაახლოებით 25 დოლარი ჯდება, თანაც, დამატებით იხარჯება დღეში 110 დოლარი ყოველ დელეგაციაზე.

● ●

## „უცნობი“ გუნდი

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებული იყო შესარჩევ ჯგუფებში გამარჯვებული ყველა გუნდის შემადგენლობა, გარდა ისრაელისა. ფეხბურთის მოყვარულებს ვთავაზობთ ამ „უცნობი“ გუნდის შემადგენლობასაც: ვისოკერი, ბარი, ბელო, პრიმო, როზენი, როზენტალი, ტალბი, სპიეგალი, ფეიგენბაუმი, სპიგლერი, შუმი.



ცნობილი ირლანდიელი ფეხბურთელი ჯ. ბესტი ინგლისური გაზეთების ფურცლებზე ამ ბოლო ხანებში სულ უფრო ხშირად ჩნდება ხოლმე მშვენიერ ასულთა გარემოცვაში. ამ სურათზეც იგი გამოსახულია თავის საცოლესთან, დანიელ ფეხბურთელ ევა ჰარალსტედთან და მის მეგობრებთან ერთად ახალწლის წინაღამეს მანჩესტერში.

# კაემანი წარსულთან

●

### სტოკჰოლმის ოლიმპიურ თამაშებში, 1912 წელს

●

იგი მთელი თავისი ცხოვრებით რუსული სპორტის ისტორიასთანაა დაკავშირებული. ლენინგრადში მისი პატარა ბინის მთავარ ღირსშესანიშნაობას სპორტული ჟილდოებისა და თასების კოლექცია შეადგენს. ეს ჟილდოები თითქოს ისტორიის პატარ-პატარა ნაწილებია. ისინი ჩვენი საუკუნის 20-ანი, 30-ანი წლების ცხოვრებაზე მოგვითხრო ბ ე ნ. ბევრს კარგად ახსოვს ამ კაცის ბრწყინვალე გამოსვლები ფეხბურთის მწვანე მინდვრებზე. თავად ვ. ბუტუსოვი ერთ-ერთი მათთაგანია, ვისაც შეუძლია გაგვიზიაროს საკუთარი შთაბეჭდილებები სტოკჰოლმის 1912 წლის ოლიმპიურ თამაშებზე, რომელშიც რუსეთი პირველად მონაწილეობდა ოფიციალურად.

იგი მაღალი, ახოვანი, ჭაღარა კაცია. უკვე 76 წელი შეუსრულდა, მაგრამ, როცა გარდასულ დღეებს იგონებს და თვალებში ისევ ის ძველებური ნაპერწკლები აუკიაფდება, სულ იოლად შეიძლება წარმოვიდგინოთ 19 წლის ვასია ბუტუსოვი, რუსეთის ნაკრები შვეციის დედაქალაქის სტადიონზე რომ გამოჰყავდა. იგი გვიამბობს:

„დღევანდელი გაგებით სტოკჰოლმი აქვე ორ ნაბიჯზეა. რეაქტიულ ლაინერს ორი-სამი საათი თუ დასჭირდება იქ ჩასვლისთვის. რუსი ოლიმპიელები კი მეხუთე ოლიმპიადის დედაქალაქში გემ „ბირმას“ მიჰყავდა, რომელიც ჩვეულებრივ ლიბავასა (დღევანდელი ლიეპაი) და ნიუ-იორკს შორის დადიოდა. გუშინდელივით მახსოვს; გამგზავრების დღეს — 12 ივნისს პაპანაქება სიცხე იყო. ჭილის ქუდები ეროვნული რუსული ბაფთებით, დელეგაციის წევრებს რომ დაგვირიგეს, ძალიან გამოგვადგა. რუსეთის ოლიმპიურ კომიტეტს სახსრები არ ეყო, რომ სპორტსმენებისთვის ერთნაირი კოსტუმები მიეცა. ამიტომ „ბირმის“ მგზავრები საკმაოდ აჭრელებული იყვნენ. გამონაკლისს შეადგენდნენ მხოლოდ მდიდრულ მუნდირებში გამოწყობილი ოფიცრები (ესენი უმთავრესად იყვნენ ტანმოვარჯიშეები, მოფარიკავეები, ცხენოსნები, ჩოგბურთელები).

გამგზავრების დროსაც დიდი არეულობა იყო. ვიღაცამ გემის გასვლის დრო შეცვალა და 10-ზე მეტ სპორტსმენს დააგვიანდა. მათ შორის იყო რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე ვ. სრეზნევსკიც. მათ ძლივს დაიყოლიეს სწრაფმავალი კატარღის მეპატრონე და ნახევარი საათის შემდეგ შეუერთდნენ დელეგაციას.

რუსეთის გუნდი შეჯიბრების დაწყებამდე სულ ორი საათით ადრე ჩავიდა სტოკჰოლმში, მაგრამ მის დაბინავებაზე არავის უფიქრია. სტოკჰოლმის სასტუმროებში პასუხი მუდამ ერთი იყო: „ადგილები არ არის“. გენერალმა ვოეიკოვმა — რუსეთის გუნდის „ოფიციალურმა ზედამხედველმა“, რომელიც სტოკჰოლმში ქათქათა საიმპერატორო იახტით „სტრელათი“ ჩამოვიდა, სპორტსმენებს შესთავაზა „ბირმაზე“ იცხოვრეთო. მაგრამ ადგილების განაწილება კლასობრივი თუ არა, კასტობრივი მაინც იყო. პირველი და მეორე კლასის კაიუტებში დაბინავდნენ ოფიცრები, სხვებს დანარჩენი ადგილები შეხვდათ და იძულებული იყვნენ უზარმაზარი ვირთხების მეზობლობას შერიგებოდნენ“.

... მაგიდაზე გაყვითლებული ფოტოსურათები გაჩნდა. ამ სურათებზე აღბეჭდილი არიან პირველი რუსი ფეხბურთელები, რომელთაც დღევანდელი გაგებით სალოცარი ტანსაცმელი აცვიათ. განსაკუთრებით სასაცილოდ ჩანს თითქმის კოჭებამდე ჩაშვებული ტრუსები.

„ჩვენს გუნდს, რასაკვირველია, ჰქონდა თავისი ფორმა, — იგონებს ბუტუსოვი — ყვითელი პერანგები რუსეთის გერბით და ლურჯი ტრუსები. გუნდში შედიოდა 6 მოსკოველი და 5 პეტერბურგელი. მე კაპიტნად ამირჩიეს. რბილად რომ ვთქვათ, გუნდი სუსტად იყო მომზადებული. გამგზავრებამდე მხოლოდ ერთი საწვრთნელი თამაში ჩავატარეთ და მაშინვე დავისაჯეთ.“

რუსეთის ოლიმპიური გუნდის მატჩების შედეგები შემონახულია. პირველ შეხვედრაში ფინელებთან, რომელიც თითქმის თანაბარ დონეზე ჩატარდა, რუსები დამარცხდნენ ანგარიშით 1:2. ამასთან, გოლი, რომელიც ამ ოლიმპიადაში რუსეთის გუნდისთვის ერთადერთი აღმოჩნდა, გაიტანა სწრაფმა თავდამსხმელმა ვ. ბუტუსოვმა. სამაგიეროდ, შემდეგი მატჩი გერმანიის გუნდთან კატასტროფით დამთავრდა — 0:16. აი, რას წერდა იმ დღეებში ჟურნალი „რუსკი სპორტი“: „რუსების გუნდისა და უცხოელების თამაშის შედარება, სამწუხაროდ, გვიჩვენებს, რომ ფეხბურთში ჩვენ ჯერ კიდევ ძუძუმწოვარა ბალღები ვართ“.

დაახლოებით ასეთივე შედეგები ჰქონდათ რუს ოლიმპიელებს სპორტის სხვა სახეობებშიც. გამონაკლისი იყო მხოლოდ ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, სადაც ნ. კლეინმა ერთადერთი მედალი (ვერცხლისა) მოუპოვა რუსეთის გუნდს.

სტოკჰოლმში მეფის რუსეთი დაისაჯა ჩამორჩენილობისთვის, იმისთვის, რომ სპორტის გზა ამ ქვეყანაში ხალხისთვის დახშული იყო. რუსეთის გუნდის შედეგებმა ამ ოლიმპიადაში დიდი დისკუსია გამოიწვია პრესაში. წამოიჭრა საკითხი სკოლებში ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესების შესახებ. მაგრამ სიტყვა საქმედ არ ქცეულა.

... „ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამიხარდა, როცა გავიგე, რომ მოსკოვმა 1976 წლის ოლიმპიადის მასპინძლად წამოაყენა თავისი კანდიდატურა, — ამბობს ვ. ბუტუსოვი. — დიდი ხანია დროა. ჩვენი სპორტსმენების მიღწევებს მთელი მსოფლიო იცნობს“.

საუბარი დასასრულს უახლოვდება. ჩვენ კიდევ დიდხანს ვათვალიერებთ უნიკალურ ფოტოსურათებს და ფეხბურთის სამკერდე ნიშნების პატარა, მაგრამ ძალიან საინტერესო კოლექციას.

ფეხბურთი კვლავ დიდი გატაცებაა ვეტერანისთვის. იგი ლენინგრადში არც ერთ მატჩს არ ტოვებს უყურადღებოდ. „ზენიტის“ წარმატებებს სიხარულით ადევნებს თვალს. დიდი გულშემატკივარი იყო სსრ კავშირის ნაკრებისა, რომელმაც მეხიკოს მსოფლიო პირველობის საგზური მოიპოვა.

„ჩემი ოცნებაა, — გვითხრა გამოთხოვებისას ბუტუსოვმა, — მექსიკაში წავიდე და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები ვნახო“.

ლ. კოვალიოვა.
(საკდესის სპეც. კორ.).
ლენინგრადი.



△ მემფისი (აშშ). ამერიკელმა ტინკერმა ამ ქალაქის დარბაზში 50 იარდი 5,1 წამში გაირბინა, რაც ახალი მსოფლიო მიღწევაა.

△ სანტა-ბარბარა. მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონმა, ათჭიდში მსოფლიო რეკორდსმენმა ბ. ტუმეიმ და ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონმა, ინგლისელმა მ. ბიგნელმა იქორწინეს. 20 გამოჩენილი სპორტსმენის გარდა, ქორწილს ესწრებოდა ბიგნელის 7 წლის ვაჟიშვილი, რომელიც მას პირველი ქორწინებიდან ჰყავს. ტუმეიმ იქვე განაცხადა, რომ თავს ანებებს აქტიურ სპორტს. მას განზრახული აქვს ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებლად იმუშაოს.

△ მეხიკო. პროფესიონალ მოკრივეთა შორის მსოფლიო ჩემპიონმა „ბუზის“ წონაში ტორესმა (მექსიკა) 15-რაუნდიან ბრძოლაში ქულებით დაამარცხა ამ წოდების მაძიებელი ჰაგანატი (იაპონია).

△ პლანიცა. იუგოსლავიის სათხილამურო სპორტის ფედერაციის გადაწყვეტილებით რეკონსტრუირებულ იქნება ამ ქალაქის დიდი ტრამპლინი და მისი საპროექტო სიმძლავრე 170 მეტრს მიაღწევს. ვარაუდობენ, რომ „მფრინავ მოთხილამურეთა“ 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატი სწორედ ამ ტრამპლინზე გაიმართება.

△ მელბურნი. ავსტრალიელი მძლეოსნები ქალაქის სტადიონზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. პეკჰემმა 218 სმ სიმაღლე დაძლია, მაიმ ზურგქარის დახმარებით სამხტომში 16,82 მ აჩვენა, 16 წლის ქალიშვილმა პეგმა კი 100 მ 11,4 წამში გაირბინა.

## 20-45

◆ ნურეკი (ტაჯიკეთი), 7 იანვარი. ვახშის ქედის მწვერვალებიდან ჩამოტანილი ნუშის ხის რტო უსაჩუქრეს სპორტის დამსახურებულ ოსტატ ი. გალუსტოვს მისმა მოწაფეებმა. ასე აღნიშნეს საბჭოთა აღმოსავლეთის ენერგეტიკული გიგანტის — ნურეკის ჰიდროელსადგურის მშენებლებმა ცნობილი მთამსვლელის 60 წლისთავი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ გალუსტოვმა სსრ კავშირის ყველა „შვიდათასიანზე“ შედგა ფეხი. გალუსტოვი 6 წლის წინათ მიიწვიეს ელსადგურის მშენებლებმა, რათა მათ მთიანი კლდეების დაპყრობაში დახმარებოდა. და აი, გამოცდილმა მთამსვლელმა კლდეზე მცოცავთა მთელი რაზმი გამოზარდა. მისი მოწაფეთაგან მერე ბევრი (პ. ობიდოვი, გ. შრამკო და სხვ.) გახდა ტაჯიკეთის მოწინავე მთამსვლელი. სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი გალუსტოვი კვლავინდებურად აღსავსეა ენერგიით. შარშან იგი ლენინის პიკზე გამართულ მასობრივ ალპინიადაში მონაწილეობდა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.




გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-98-81.